

თუთიის ფულვატური კომპლექსების შესწავლა
გელქრომატოგრაფიული მეთოდით

თამარ მახარაძე, გურამ სუპატაშვილი, გიორგი მახარაძე
ელ.ფოსტა: tamar.makharadze011@ens.tsu.edu.ge
ქიმიის დეპარტამენტი. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი. ჭავჭავაძის პრ. 3, თბილისი 0128

ბუნებრივი წყლებიდან და ტორფიდან გამოყოფილია ფულვომჟავების სუფთა ნიმუშები. გელქრომატოგრაფიული მეთოდით, სეფადექს G-25 გამოყენებით, სხვადასხვა pH-ზე, შესწავლილია ფულვომჟავებთან თუთიის კომპლექსწარმოქმნის პროცესი.

გათვლილია თუთიის ფულვატების პირობითი მდგრადობის მუდმივები: $\text{pH}=9,02$
 $\beta = 1,50 \cdot 10^4$; $\text{pH}=8,00$ $\beta = 1,48 \times 10^4$; $\text{pH} 6,03$ $\beta = 4,63 \times 10^3$; $\text{pH} 5,01$ $\beta = 1,15 \times 10^3$;

pH-სიდიდეზე დამოკიდებულებით მდგრადობის მუდმივები ასე ლაგდებიან $\beta(\text{pH}9) = \beta(\text{pH}8) > \beta(\text{pH}6) > \beta(\text{pH}5)$. მიღებული სიდიდეები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ტიპის, კლასის და ჯგუფის ბუნებრივ წყლებში თუთიის მიგრაციის ფორმების დასადგენად და წყალსაცავების ეკოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირებისათვის.